



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,
ელ. ფოსტა: tsagerisakrebulo@gmail.com

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 45
02/09/2020

45-06-4-202009021450



ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 85-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მიღებულ იქნას ცნობად. /დანართი თან ერთვის/.
2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ:
 - ა) უზრუნველყოს 2020 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულება, როგორც შემოსულობების ისე ხარჯვით ნაწილში.
 - ბ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ათვისებას, აგრეთვე მის დროულად და ხარისხიანად ათვისებას.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო